სსიპ„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების საფუძველი

წინამდებარე დებულება დამტკიცდა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ (შემდგომში - “ასოციაცია”) საერთო კრების მიერ “მედიაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მეცხრე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ისევე როგორც ასოციაციის წესდების მე-11 მუხლის მეთორმეტე პუნქტის მე-5 ქვეპუნქტისა და 23-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის არსი და მიზანი

ასოციაციის მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) წარმოადგენს “მედიაციის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილ მედიატორის პროფესიაში შესვლის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს პირის პრაქტიკული ცოდნითა და სამედიაციო უნარ-ჩვევებით აღჭურვას და ხელს უწყობს პროფესიაში მის წარმატებულ და კვალიფიციურ ინტეგრაციას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

3.1. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა - “მედიაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მეცხრე პუნქტის „დ“ქვეპუნქტით განსაზღვრული მედიატორის სტატუსის მიღების სავალდებულო წინაპირობა, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან.

3.2. მედიატორის სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე - ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის ნასამართლევი და ამ დებულების შესაბამისად დარეგისტრირებულია მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის მონაწილედ.

3.3. ტრენერი - სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ ან / და ასოციაციასა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ერთობლივი ეგიდით განხორციელებული ტრენერთა ტრენინგის წარმატებით კურსდამთავრებული, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დებულების მოთხოვნებს და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეტანილია ასოციაციის ტრენერთა ერთიან სიაში. ტრენერის სტატუსის მქონე პირი შეიძლება გახდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ყველა კონკრეტული მედიაციის/მედიატორის ტრენინგის მიზნებისათვის, რომლის ან ორგანიზატორი არის ასოციაცია ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეიძლება მიენიჭოს დროებითი ტრენერის სტატუსი შესაბამისი მომართვის საფუძველზე იმ დათქმით, რომ მის მიერ ჩასატარებელ ტრენინგზე ასევე უნდა მოხდეს პროგრამული ან ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვება.

3.4. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკიკულ უნარ-ჩვევებში შემმოწმებელი პირი / შემფასებელი - სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მოქმედი

წევრი, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით იქნება შერჩეული მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემმოწმებელ პირად საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

3.5. მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევების მიმწოდებელი პირი / მენტორი მედიატორი - სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი, რომელიც ჩართულია სასამართლო მედიაციის პროგრამაში და ასოციაციისა და სასამართლო მედიაციის ცენტრის მხრიდან იქნება გამოყოფილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მენტორი მედიატორის სტატუსით.

მუხლი 4. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის განხორციელების წესი

4.1. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა შედგება სამი საფეხურისგან:

- მედიაციის / მედიატორის ტრენინგი ;
- მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება ;
- მედიატორობის მსურველი პირისთვის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარება;

4.2. მედიაციის / მედიატორის ტრენინგი წარმოადგენს ასოციაციის მიერ დამტკიცებულ კონკრეტული შინაარსის მედიაციის / მედიატორის ტრენინგის სულ მცირე 60 საათიან მოდულს, რომელიც წარმოადგენს წინარე დებულების განუყოფელ ნაწილს (დანართი #1) და რომელსაც, ანხორციელებს, მათ შორის ნებისმიერი დაინტერესებული კერძო პირი, აკრედიტაციის საფუძველზე, წინარე დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, მედიაციის/მედიატორის ტრენინგის ორგანიზებისა და ჩატარების უფლება აქვს, ასოციაციას და იმ დაწესებულებებს, რომელთა მიერ შეთავაზებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგის სტანდარტი მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.

4.3. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს იმ საერთაშორისო პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა მიერ შეთავაზებული/ჩატარებული მედიაციის/მედიატორის ტრენინგები მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებს ან ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ყველა ინდივიდუალური მომართვის მიზნებისათვის (წარმოდგენილი უნდა იყოს მათ შორის კურსის აღწერა, მეთოდოლოგია და დღის-წესრიგი) აფასებს შესაბამისი ტრენინგის გავლის შედეგად გაცემული სერფიფიკატის/პროგრამის შინაარსის შესაბამისობას დებულებით დადგენილ სტანდარტთან და ახდენს წარმოდგენილი სერტიფიკატის აღიარებას ან აღიარებაზე უარის თქმას.

4.4. მედიატორთა ტრენინგის მონაწილე შეიძლება იყოს ერთდროულად არაუმეტეს 25 მსმენელისა, ხოლო უშუალოდ მისი განმხორციელებელი ტრენერი უნდა იყოს ასოციაციის მიერ ან ასოციაციასა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ერთობლივი ეგიდით, ასოციაციის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, ჩატარებული ტრენერთა ტრენინგის წარმატებით კურსდამთავრებული, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დებულების მოთხოვნებს და აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შეტანილია ასოციაციის ტრენერთა ერთიან სიაში.

4.5. მედიატორთა ტრენინგის მიმდინარეობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტრენინგის ჩატარების მიზნებისთვის საკმარისი ტრენერი, კერძოდ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველ 8 მსმენელზე მინიმუმ 1 ტრენერი.

4.6. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება როგორც წესი, ხორციელდება ყოველწიურად ორ ნაკადად და მას ახორციელებს ასოციაცია: პირველი (საგაზაფხულო) ნაკადი : **მაისი/ივლისი**, ხოლო მეორე (საშემოდგომო) ნაკადი : **ოქტომბერი/დეკემბერი**. რეგისტრაციის დაწყების და დამთავრების თარიღს სერტიფიცირების სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

4.7. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემმოწმებელ პირთა / შემფასებელთა ნუსხა მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით საგაზაფხულო ან/და საშემოდგომო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის. შემფასებელ პირთა შერჩევის მიზნებისთვის გათვალისწინებულ წინაპირობებს დაადგენს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

4.8. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების მიზნებისათვის თითოეულ ნაკადზე მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 200 მონაწილით, რომელთა რეგისტაცია ხორციელდება პირველადი რეგისტრაციის პრინციპის საფუძველზე. პირი, რომელიც ვერ დარეგისტრირდება მიმდინარე ნაკადზე, პრაქტიკულ უნარ- ჩვევებში შემოწმების ეტაპს გაივლის მომდევნო ნაკადის ფარგლებში. ასოციაციის საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების მიზნებისათვის თითოეულ ნაკადზე მონაწილეთა რაოდენობა თავისი გადაწყვეტილებით.

4.9. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების მიზნებისათვის აღნიშნული ეტაპის განხორციელების ადგილია ასოციაციის ოფისი ან/და აღნიშნული მიზნებისათვისასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მოძიებული ალტერნატიული ფართი.

4.10. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების ეტაპი ტარდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ განსაზღვრული კალენდრისა და დროის მიხედვით, რომელიც წინასწარ ეცნობება პროგრამის მონაწილეს.

4.11. მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევების განვითარების ეტაპი ხორციელდება ასოციაციის მოქმედი წევრი მედიატორის მიერ, რომელიც ჩართულია სასამართლო მედიაციის პროგრამაში. აღნიშნული ეტაპის მიზნებისთვის მომავალი მედიატორის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ჩამონათვალს, ეტაპის მარეგულირებელ წესს განსაზღვრავს / ამტკიცებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

4.12. რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარების ეტაპის გავლა დამოკიდებულია მოქმედი სასამართლო მედიაციის ცენტრებში მიმდინარე სამედიაციო სესიების ოდენობასა და ვადებზე, რომელშიც მედიატორობის სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე პირის ჩართულობას უზრუნველყოფს

ასოციაცია და მოქმედი სასამართლო მედიაციის ცენტრები მიმდინარე მედიაციების თანმდევად დროის თვალსაზრისით.

4.13. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის მონაწილე პირის მიერ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის წარმატებით გავლა მოწმდება მედიატორთა ასოციაციის მიერ გაცემული პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გადალახვის დამადასტურებელი სერტიფიკატით და რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევებისგანვითარების ეტაპის გავლის შედეგად მიღებული დადებითი რეკომენდაციით.

მუხლი 5. რეგისტრაციის წესი

5.1. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების მიზნით პროგრამაზე რეგისტრაცია, როგორც წესი, ხორციელდება აპრილში, საგაზაფხულო ნაკადისთვის სექტემბერში, საშემოდგომო ნაკადისთვის.

5.1.1. პროგრამაზე რეგისტრაცია საჯაროდ ცხადდება, ასოციაციის ვებ-გვერდსა და ასოციაციის სოციალურ ქსელ "ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე განცხადების განთავსების გზით.

5.1.2. პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება რეგისტრაციის გამოცხადებიდან არანაკლებ 10 კალენდარული დღით.

5.1.3. პროგრამაზე რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად შესაბამისი განაცხადის ფორმის შევსებით ასოციაციის ვებ-გვერდზე.

5.1.4. პროგრამის გავლის მსურველმა პირმა განაცხადის ფორმას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

(ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

(ბ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მედიაციის/მედიატორის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

(გ) ბიოგრაფია (CV);

(დ) პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების საფასურის გადახდის ქვითარი.

5.1.5. რეგისტრაციის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ასოციაცია ამოწმებს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებთან. ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, განმცხადებელს ეცნობება ხარვეზის თაობაზე, რომლის აღმოსაფხვრელად დამატებით ეძლევა 3 სამუშაო დღე.

5.1.6. განმცხადებელთა სიას, რომელიც შესაბამისობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ამტკიცებს აღმასრულებელ საბჭო და სიაში შეტანილ პირს ენიჭება პროგრამის მონაწილის სტატუსი.

5.1.7. პროგრამის მონაწილეთა სიის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 14 სამუშაო დღისა, პროგრამის მონაწილეებს მიეწოდებათ პროგრამის ფარგლებში მათი შეფასების განხორციელების ადგილის და დროის შესახებ სრული ინფორმაცია.

5.1.8. მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევების

განვითარების მიზნით პროგრამაზე რეგისტრაცია ხორციელდება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში წარმატებით შემოწმების შემდგომ, კერძოდ, ასოციაცია უზრუნველყოფს მედიატორობის მსურველი პირის შესაბამის სასამართლო სამედიაციო ცენტრში განაწილებას ასეთი პრაქტიკული მედიაციის ხელმისაწვდომობის ფაქტის დადგომისთანავე, რასაც ასოციაცია წინასწარ აცნობებს მედიატორობის მსურველს.

მუხლი 6. მედიატორობის სერტიფიცირების პროგრამა

6.1. პროგრამა ორიენტირებულია მედიატორისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

6.2. ტრენინგ კურსი შედგება 60 - საათიანი სასწავლო პროგრამისაგან.

6.3. ასოციაცია 2021 წლის თებერვალში და ყოველი შემდგომი წლის იანვარში გამოაცხადებს მის მიერ დამტკიცებული ტრენინგ კურსის ჩატარებაზე კერძო პირების მხრიდან განაცხადების მიღებას კურსის პროგრამულ აკრედიტაციაზე, რაც წარმოადგენს ფასიან აკრედიტაციას და მისი ღირებულება შეადგენს 2, 000 (ორი ათასი) ლარს.

6.4. პროგრამული აკრედიტაციის მიღება განმცხადებელს ანიჭებს უფლებამოსილებას ერთჯერადად განახორციელოს განაცხადით მოთხოვნილ ვადაში ასოციაციის მიერ დამტკიცებული პროგრამით მედიატორობის მსურველი პირების სწავლება.

6.5. პროგრამული აკრედიტაციის მიღება ერთსა და იმავე განმცხადებელს წლის მანძილზე შეუძლია შეუზღუდავად.

6.6. განმცხადებელმა განაცხადის წარდგენისას ასოციაციას უნდა წარუდგინოს შემდგომი ინფორმაცია:

(ა) ტრენინგის ჩატარების თარიღი;

(ბ) ტრენერთა ვინაობა და ოდენობა დებულებით დადგენილი წესის და სტანდარტის შესაბამისად;

(გ) ტრენინგის ჩატარების ქალაქის ან/და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია;

(დ) ტრენინგის პროგრამა - დეტალური საათობრივი დღის წესრიგისა და სწავლის მეთოდოლოგიის მითითების ჩათვლით;

(ე) პროგრამული აკრედიტაციის მიღების მიზნით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.

6.7. ტრენინგის დასრულების შემდეგ, პროგრამის მონაწილეზე გაიცემა სერტიფიკატი ტრენინგის გავლის თაობაზე, რომელიც პროგრამის მონაწილეს შეუძლია წარუდგინოს ასოციაციას მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის უნარ-ჩვევებში შემოწმების ეტაპზე რეგისტრაციის მიზნით.

6.8. ასოციაცია 2022 წლის იანვარში და ყოველი შემდგომი წლის იანვარში გამოაცხადებს მის მიერ დამტკიცებული ტრენინგ კურსის ჩატარებაზე კერძო

დაწესებულებების მხრიდან განაცხადების მიღებას ერთი წლის ვადით ინსტიტუციურ აკრედიტაციაზე, რაც წარმოადგენს ფასიან აკრედიტაციას და მისი ღირებულება შეადგენს 5, 000 (ხუთი ათასი) ლარს.

6.9. ინსტიტუციური აკრედიტაცია მის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას მოპოვებიდან ერთი წლის მანძილზე განახორციელოს მედიატორის ტრენინგი შეუზღუდავად.

6.10. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო პროგრამული და ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნით მიღებულ განაცხადს განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას შესაბამისი მომართვის რეგისტრაციის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 7. პროგრამის მონიტორინგი

ასოციაციას აქვს უფლება მოახდინოს პროგრამული ან/და ინსტიტუციური აკრედიტაციის მფლობელი სუბიექტების მხრიდან ტრენინგის ჩატარების პროცესის შემოწმება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ხოლო გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინოს პროგრამის განმახორციელებლის გაფრთხილება და დარღვევის გამოსწორებისთვის ვადის მიცემა, ან გაცემული აკრედიტაციის გაუქმება, დარღვევის შინაარსისა და სიმძიმის შესაბამისად. აკრედიტაციის გაუქმების უფლებამოსილებით წინამდებარე წესის შესაბამისად აღიჭურვება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით შეიმუშავებს პროგრამის მონიტორინგის მიზნებისთვის აკრედიტაციის გაუქმების კონკრეტულ წინაპირობებს და წესს.

მუხლი 8. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის გავლის დამდასტურებელი დოკუმენტი

მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის ყველა საფეხურის დასრულების შემდეგ, შესაბამისი სერტიფიკატის/დასკვნების შემოწმების საფუძველზე, ასოციაციის მიერ პროგრამის მონაწილეზე გაიცემა მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის სრული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი), რაც წარმოადგენს პროფესიაში შესვლის წინაპირობას.

მუხლი 9. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის საფასური

9.1. მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის მედიატორის ტრენინგის ნაწილი ფასიანია და მის ღირებულებას განსაზღვრავს უშუალოდ ტრენინგის განმხორციელებელი სუბიექტი.

9.2. მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება ფასიანია და მის ღირებულებას, განსაზღვრავს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.

9.3. მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევებში შემოწმება უფასოა.

9.4. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, მედიატორობის მსურველი პირის უნარ-ჩვევებში შემოწმების საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელიც

კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში;

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

10.1. წინამდებარე დებულება სრული სახით ძალაში შედის 2021 წლის 1-ლი იანვრიდან.

10.2. დებულება არ ვრცელდება 10.2 და 10.3 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე, რომელთა პროფესიაში შესვლის სტანდარტი დგინდება შემდეგი წესის შესაბამისად :

(ა) პირებზე, რომელთაც „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე უფიქსირდებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს, რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მცხეთის რაიონულ სასამართლოს და გორის რაიონულ სასამართლოში მედიატორად ან/და თანა-მედიატორად საქმიანობის ფაქტი, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ცნობით. მსგავს პირებს ექნებათ შესაძლებლობა სსიპ „საქარველოს მედიატორთა ასოციაციაში“ გაწევრიანების მიზნით მიმართონ ასოციაციას და გაწევრიანდნენ მას შემდგომ რაც შეძლებენ მედიატორობის მსურველი პირის რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარების ეტაპის გავლას, მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულებით და მის საფუძველზე შექმნილი მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

(ბ) პირებზე, რომელთაც მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულების დამტკიცებამდე აქვთ გავლილი მედიაციის/მედიატორის ტრენინგი მინიმუმ 40 საათიანი სწავლება, მიმართავენ სსიპ „მედიატორთა ასოციაციას“ აღნიშნული სწავლების აღიარების მიზნით და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მხრიდან ასეთი აღიარების მიღების შემდგომ მსგავს პირებს ექნებათ შესაძლებლობა სსიპ „საქართველს მედიატორთა ასოციაციაში“ გაწევრიანების მიზნით მიმართონ ასოციაციას და გაწევრიანდნენ მასში მას შემდგომ რაც შეძლებენ მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ- ჩვევებში შემოწმების ეტაპის და რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ- ჩვევების განვითარების ეტაპის გავლას მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულებით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად. მსგავსი პირების ნაცვლად, მედიაციის/მედიატორის ტრენინგის აღიარების მიზნით, ასოციაციას შეუძლია მიმართოს იმ ინსტიტუციამ, რომელმაც განახორციელა მსგავსი პირებისათვის მედიაციის/მედიატორის ტრენინგის განხორციელება, თუმცა განაცხადს უნდა ერთვოდეს ტრენინგის მონაწილე პირის თანხმობა. ნებისმიერ შემთხვევაში აღიარების შესახებ განაცხადს უნდა ერთვოდეს გავლილი კურსის აღწერა, მეთოდოლოგია და დღის-წესრიგი.

10.3. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, წინარე დებულების:

ა. 10.2.„ა“ პუნქტით გათვალისწინებული პირების მიმართვას მიიღებს **2021**

წლის 26 აპრილიდან 2021 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

ბ. 10.2 „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული აღიარების თაობაზე მიმართვას მიიღებს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო მიღებული დოკუმენტაციის შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას განახორციელებს 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით და ამ კატეგორიის პირებისთვის ასოციაცია უზრუნველყოფს 2021 წლის აპრილამდე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმებას.

10.4. ნებისმიერი ქვეყნის მედიატორს აქვს უფლება მიმართოს ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს გარკვეული ვადით საქართველოში სამედიაციო პრაქტიკის განხორციელების უფლების მიღების მოთხოვნით, რა დროსაც:

(ა) სამედიაციო პრაქტიკის განხორციელების უფლების მინიჭება ხორციელდება 1 წლის ვადით. აღნიშნული უფლება იმავე ვადით შეიძლება გაგრძელდეს ყოველ მომდევნო წელს.

(ბ) უნდა დასტურდებოდეს აპლიკანტისთვის ან სხვა იურისდიქციაში მედიატორის სტატუსის ქონა ან / და მისი სერტიფიცირების ფაქტი, რაც შესაბამისი უნდა იყოს „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ სერტიფიცირების წესთან.

10.5. უცხო ქვეყნის მედიატორის საქართველოში სამედიაციო პრაქტიკის განხორციელების უფლების მიღების საკითხთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა სახის პროცედურას და ტექნიკურ საჭიროებებს განახორციელებს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭო თავისი გადაწყვეტილებით, ასეთი საჭიროების შემთხვევაში.

10.6. 2021 წლიდან სასამართლო მედიაციის ცენტრების პირველადი დაფუძნების და სასამართლოების მედიატორებით აღჭურვის მიზნით, მედიაციის /მედიატორის ტრენინგს ჩაატარებს პროგრამული/ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე კერძო დაწესებულება ან სათანადო რესურსის არარსებობის შემთხვევაში ასოციაცია. კერძო დაწესებულების შემთხვევაში ამ უფლებას მოიპოვებს ის პირი, რომელიც პირველი - დროში უპირატესად მიმართავს ასოციაციას ამგვარი ტრენინგის ჩატარების უფლებამოსილებისა და პროგრამული/ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვებისათვის. სასამართლო მედიაციის ცენტრების პირველადი დაფუძნების მიზნებისთვის ჩასატარებული მედიაციის/მედიატორის პროგრამის ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს ასოციაციასთან და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან კოორდინირებით, რაც გულისხმობს მედიატორთა სასერტიფიკატო პროგრამაში ჩართვის მსურველ პირთა გასაუბრების გზით შერჩევას და სხვა.

10.7. 2025/2026 წლის მანძილზე, სასამართლო მედიაციის ცენტრების შექმნის მიზნებისთვის მედიაციის/მედიატორის ტრენინგის ჩატარება შეუძლია ასოციაციას საერთაშორისო დონორ ორგანიზაციასთან ერთად თანამშრომლობით.

10.8. ასოციაციის მიერ მედიატორობის მსურველისთვის გაწევრიანებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასოციაციის გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას საერთო წესის შესაბამისად.

<u>დანართი #1 :</u> მედიატორის / მედიაციის ტრენინგის სასწავლო მოდული

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის მედიატორის/მედიაციის ტრენინგის (სასწავლო მოდულის) მინიმალური მოთხოვნები :

სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამით გათვალისწინებული მედიატორის ტრენინგ კურსი შედგება სულ მცირე 60-საათიანი[1] სასწავლო მოდულისგან. მოდული უნდა ასახავდეს სამედიაციო პრაქტიკისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნის საფუძვლებს და ემყარებოდეს მათი პრაქტიკაში გამოყენების სწავლების ეფექტურ მეთოდოლოგიას.

მედიაციის/მედიატორის ტრენინგის მიმწოდებელი ნებისმიერი სუბიექტის კურსი, შესაბამისი აკრედიტაციის მიღების მიზნებისათვის, მინიმალური წინაპირობის სახით უნდა ითვალისწინებდეს ტრენინგ მოდულის შემდეგ შინაარსობრივ კომპონენტებს:

- ❖ კონფლიქტი და მისი მართვა.
- ❖ მედიაცია და დავის გადაწყვეტის სხვა პროცესები, მათი ურთიერთმიმართება.
- ❖ მედიციის არსი, პრინციპები და მედიატორის როლი.
- ❖ ეფექტიანი კომუნიკაციის ტექნიკა: აქტიური მოსმენა (პერეფრაზი, შეჯამება, რეფორმულირება, ემოციებზე გამოხმაურება, სხეულის ენა, კითხვები).
- ❖ პოზიციებისა და ინტერესების გამიჯვნა. ინტერესების გამოკვლევის მნიშვნელობა. სხვადასხვა სახის ინტერესები (ეკონომიკური/მატერიალური, პირადი/ემოციური/არა-მატერიალური, პროცესუალური).
- ❖ მოლაპარაკების ტიპები. მოლაპარაკებისას მხარეთა ალტერნატივების განხილვის მნიშვნელობა (ე.წ. BATNA - სამედიაციო მორიგების საუკეთესო ალტერნატივა). შესაძლო „მორიგების ზონის“ (ე.წ. ZOPA - შესაძლო მორიგების ზონა) იდენტიფიცირება და ეფექტიანი მართვა. რეალობის ტესტი.
- ❖ მედიაციის ფაზები (მომზადება, გახსნა, გამოკვლევა, „ვაჭრობა“, დასრულება). თითოეული ფაზის მიზანი, პროცესის მონაწილეების როლი, ძირითადი ტექნიკები და რისკები.
- ❖ წარმომადგენლის როლი მედიაციაში.
- ❖ ჩიხი მედიაციაში და ეფექტიანი რეაგირების ხერხები.
- ❖ ინდივიდუალური (კერძო) და საერთო შეხვედრები.

[1] მოიაზრება ასტრონომიული საათი. შესვენებების ხანგრძლივობა არუნდა აღემატებოდეს ჯამში 11 საათს.

- ❖ მედიაციის სამი განზომილება: პროცესი, ადამიანები, არსი (პრობლემა). მედიატორის როლი და მის მიერ გამოსაყენებელი ტექნიკები თითეულ განზომილებასთან მიმართებით.
- ❖ ეთიკური გამოწვევები და სტანდარტები მედიაციაში.
- ❖ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩო. მედიაციის წარმართვისა და მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აღსრულების პროცესუალური და პრაქტიკული ასპექტები.

მედიაციის/მედიატორის ტრენინგ კურსი, შესაბამისი აკრედიტაციის მიღების მიზნებისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორგანიზაციულ, სტრუქტურულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს:

ა) როლური სიმულაციები, უშუალოდ სიმულაციისა და შემდგომი ანალიზის (განხილვის) ჩათვლით, უნდა მოიცავდეს სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათს.

ბ) კურსის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ თითოეულ მონაწილეს უნდა მიეცეს ინდივიდუალური უკუკავშირი მის მიერ მედიატორის როლში ჩატარებულ პროცესზე.

გ) ტრენინგის მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სერტიფიკატის მიღების წინაპირობები.

დ) მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ დადგენილი მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების კრიტერიუმები.

ე) მონაწილეებს უნდა მიეცეთ სულ მცირე ერთი წერილობითი დავალება, რომელიც ასახავს დაკვირვებებს საკუთარ უნარებზე, პროგრესზე, გამოწვევებზე და გეგმებზე.[2]

აკრედიტაციის მოპოვების მსურველმა სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს:

- ✓ განაცხადი
- ✓ სილაბუსი, რომელიც მოიცავს:

თემის დასახელება	მისაღწევი შედეგები	მეთოდოლოგია	მასალები	წამყვანი ტრენერ(ებ)ი

- ✓ დღის წესრიგი
- ✓ ინფორმაცია ტრენერების შესახებ (ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია)
- ✓ სახელმძღვანელო მასალები
- ✓ აკრედიტაციის საფასურის გადახდის ქვითარი
- ✓ ინფორმაცია ტრენინგის/ტრენინგების ჩატარების ფორმატის შესახებ.
- ✓ მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები
- ✓ წერილობითი დავალების აღწერილობა, თუ ტრენერები გეგმავენ დამატებითი წერილობითი დავალება მისცენ მონაწილეებს

[2] აღნიშნული უნდა განხორციელდეს ტრენინგისთვის განსაზღვრული 60-საათის მიღმა.

დანართი #2:

ჰიბრიდული ფორმატის მედიატორის / მედიაციის ტრენინგის სასწავლო მოდულის შესახებ

(ორი პროგრამული კომპონენტისგან შემდგარი სასწავლო მოდული)

ტრენინგ მოდული შეიძლება წარმოდგენილი იყოს ჰიბრიდულ ფორმატში, რომელიც გულისხმობს ერთდროულად ელექტრონულ და ფიზიკურ სივრცეში სწავლების ტრენინგების ერთობლიობას.
სინქრონულია სწავლება, რომელიც მიმდინარეობს პირდაპირ რეჟიმში, სადაც ყველა მსმენელი ერთდროულადაა ჩართული და მათ აქვთ ტრენერ(ებ)თან მიმდინარე დროში კომუნიკაციის წარმართვის შესაძლებლობა.
ასინქრონული სწავლება დაფუძნებულია სხვადასხვა ტექნოლოგიებზე. ამ დროს აუცილებელი არაა ტრენერის და მსმენელის ერთდროული მონაწილეობა. ტრენერი აკეთებს ლექციის ვიდეო ჩანაწერს, ტვირთავს ლექციის სკრიპტს და პრეზენტაციას უზიარებს მსმენელებს, რომლებიც მათთვის მოსახერხებელ დროს უყურებენ ვიდეო ლექციებს, უსმენენ აუდიო ჩანაწერებს ან/და კითხულობენ სკრიპტს და ასრულებენ დავალებებს იმავე ელ-რესურსში. სწავლის ინტენსივობაც და ხანგრძლივობაც რეგულირდება მსმენელის სურვილის მიხედვით, ძირითადად – დამოუკიდებლად.
სინქრონული სწავლების დროს დაცულ უნდა იქნეს ტრენერებისა და მონაწილეების რაოდენობრივი თანაფარდობის აუცილებელი მოთხოვნა. გასათვალისწინებელია, რომ **სინქრონული სწავლებისას,** (რეალურ სივრცეში/პირისპირ რეჟიმში) ტრენინგის უზრუნველყოფისას მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისად, მედიატორთა ტრენინგის მონაწილე შეიძლება იყოს ერთდროულად არაუმეტეს 25 მსმენელი (პუნქტი 4.4.) და ყოველ 8 მსმენელზე გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ 1 - ტრენერი (პუნქტი 4.5.).
აკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ჰიბრიდული პროგრამა უნდა მოიცავდეს როგორც **ასინქრონული ელექტრონული** სწავლების მოდულს, რომლის შეთავაზება დაგეგმილია მსმენელისთვის ონლაინ, ვიდეო არხებით ისე **რეალურ დროში ურთიერთქმედებით.** დებულების მინიმალური სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
ჰიბრიდული ფორმატის პროგრამა უნდა იყოს შემდეგი შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით წარმოდგენილი აკრედიტაციის მიზნებისთვის :
შინაარსობრივი თვალსაზრისით მედიაციის/მედიატორის ტრენინგის მიმწოდებელი ნებისმიერი სუბიექტის კურსი, შესაბამისი აკრედიტაციის მიღების მიზნებისათვის, მინიმალური წინაპირობის სახით უნდა ითვალისწინებდეს წინამდებარე სერტიფიცირების პროგრამის დებულების დანართი #1 გათვალისწინებულ ტრენინგ მოდულის შინაარსობრივ კომპონენტებს.
გარდა შინაარსობრივი საკითხებისა, ჰიბრიდული ფორმატის პროგრამა აუცილებელია სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათისა მოიცავდეს როლურ სიმულაციებს, უშუალოდ სიმულაციისა და შემდგომი ანალიზის (განხილვის) ჩათვლით, რომელიც მონაწილეს 24-საათის განმავლობაში მედიაციის სიმულაციებში ჩართვისა და უშუალოდ ტრენერებისგან და მონაწილეებისგან სათანადო უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას მისცემს.
დებულების მინიმალური სტანდარტის თანახმად სასერტიფიკატო პროგრამის სავალდებულო მოთხოვნაა:
ა) როლური სიმულაციები, უშუალოდ სიმულაციისა და შემდგომი ანალიზის (განხილვის) ჩათვლით, უნდა მოიცავდეს სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათს.
ბ) კურსის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ თითოეულ მონაწილეს უნდა მიეცეს ინდივიდუალური უკუკავშირი მის მიერ მედიატორის როლში ჩატარებულ პროცესზე.
გ) ტრენინგის მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სერტიფიკატის მიღების წინაპირობები.
დ) მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ დადგენილი მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმების კრიტერიუმები.
ე) მონაწილეებს უნდა მიეცეთ სულ მცირე ერთი წერილობითი დავალება, რომელიც ასახავს

დაკვირვებებს საკუთარ უნარებზე, პროგრესზე, გამოწვევებზე და გეგმებზე. (აღნიშნული უნდა განხორციელდეს ტრენინგისთვის განსაზღვრული 60-საათის მიღმა)
გარდა ზემოაღნიშნული მინიმალური სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებისა, აკრედიტაციის მოპოვების მსურველმა სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი მასალები:

- ✓ განაცხადი
- ✓ სილაბუსი, რომელიც მოიცავს:

თემის დასახელება	მისაღწევი შედეგები	მეთოდოლოგია	მასალები	წამყვანი ტრენერ(ებ)ი

- ✓ დღის წესრიგი
- ✓ ინფორმაცია ტრენერების შესახებ (ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია)
- ✓ სახელმძღვანელო მასალები
- ✓ აკრედიტაციის საფასურის გადახდის ქვითარი
- ✓ ინფორმაცია ტრენინგის/ტრენინგების ჩატარების ფორმატის შესახებ.
- ✓ მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები
- ✓ წერილობითი დავალების აღწერილობა, თუ ტრენერები გეგმავენ დამატებითი წერილობითი დავალება მისცენ მონაწილეებს გარდა ასინქრონული კომპონენტით გათვალისწინებული წერილობითი დავალებებისა.